ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4144074

ნომერი: AR1625827

თარიღი : 30.08.2018

გაცემის თარიღი : 31.08.2018

გაცნობის თარიღი : 31.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვალენტინ თოფურიძის , N 31-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 06/026);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ზერეკიძე პ/ნ 01024034887
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის IV კვარტალი, კორპუსი 10, ბინა 7

ორგანიზაცია:

- შპს ფრეშ ფროფერთი კოდი: 405244418

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბერძანებით დატკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 06/026), საკადასტრო კოდი: #01.10.18.006.026; მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (საცხოვრებელი, საოფისე და სავაჭრო) შენობის განსათავსებლად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 30 აგვისტოს AR1625827 განცხადებით მომართა ქეთევან ზერეკიძემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ "მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (საცხოვრებელი, საოფისე და სავაჭრო) ფუნქციის ნაცვლად "საცხოვრებელი" ფუნქციის დაფიქსირებას.

აღნიშნულ ბრძანებაში 2018 წლის 12 მარტს ბრძანებით #3855508 შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:
1.დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.10.18.006.186, ფართობი: – 1947 კვ.მ., განცხადების რეგისტრაციის ნომერი: #892018149993, მომზადების თარიღი: 22/02/2018წ) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018201082, თარიღი: 12/03/2018 წ.)
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზის განახლებული დანართი.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაფრთხილების გრაფაში დაემატა: პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი გენგეგმა გამწვანებისა და საბავშვო მოედნის ჩვენებით

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2016 წლის 22 აპრილის №2527353 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ფუნქციად დაფიქსირდეს "მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი"

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 2018 წლის 12 მარტის №3855508 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.